

საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა

2006 წ. II კვარტალი



შინაარსი

1	შესავალი	5
2	ინფლაციის დინამიკა	7
	საბაზო ინფლაცია	8
	სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი	8
3	ინფლაციის ფაქტორები	11
3.1	მონეტარული აგრეგატები	11
	ფართო ფული	11
3.2	საპროცენტო განაკვეთების, საღებო-საღებო ვალდებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა	12
3.3	სავალუტო კურსი, დოლარიზაცია და საგადასახდელო ბალანსი	14
	სავალუტო ბაზარი	14
ჩანართი –	გაცვლის კურსის მეგავლენა ინფლაციაზე საქართველოში	15
	რეალური გაცვლის კურსი	16
	საგადასახდელო ბალანსი	16
3.4	წარმოების დანახარჯები	21
	ნავთობის ფასი	21
	გადასახადები	22
	შრომის პროდუქტიულობა, ხელფასი	24
	უმუშევრობა	25
3.5	გამოშვება და მოთხოვნა	26
	გამოშვება	26
	შინამეურნეობების მოხმარება	27
	სახელმწიფო მოხმარება	27
	ინვესტიციები	28
4	პროგნოზი უახლოესი მომავლისათვის	29
ჩანართი –	კომერციული ბანკების მენეჯერების გამოკითხვის შედეგები	30

2006 წლის I კვარტალის შემდეგ, რომელიც ფასების სტაბილურობით გამოირჩეოდა, II კვარტალში, პირველთან შედარებით, ფასები 4.1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 11.4 პროცენტს გაუტოლდა. საკმაოდ მაღალი იყო, აგრეთვე, საბაზო ინფლაციის სიდიდეც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსზე ეგზოგენური ფაქტორების გარდა მნიშვნელოვანი ბეგავლენა მოთხოვნის ფაქტორებმაც მოახდინა. გაიზარდა მწარმოებელთა ფასების ინდექსიც, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო ბაზარზე ლითონებისა და ენერგომთარებლების ფასების ზრდამ შეიტანა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ სახეზე იყო საბანკო სექტორის დეპოზიტებისა (წლიური 48.9 პროცენტი) და სესხების (წლიური 85.3 პროცენტი) მაღალი ზრდა. შიდა მოთხოვნის ფორმირებაში ფულის მულტიპლიკაციის მეშვეობით შენარჩუნებული იყო საბანკო სექტორის როლი. კერძოდ, 2006 წლის ივნისში, თვის საშუალო მონაცემების მიხედვით, სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ 24.65 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფართო ფულის M2 და M3 აგრეგატების ზრდა კი, შესაბამისად, 40.3 პროცენტსა და 44.3 პროცენტს გაუტოლდა.

2006 წლის II კვარტალში აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური გაცვლის კურსის დინამიკაში გამყარების ერთმნიშვნელოვანი ტენდენცია დაფიქსირდა, რაც განპირობებული იყო როგორც ლარზე გამზრდილი მოთხოვნით, ისე მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე აშშ დოლარის გაცვლის კურსის დინამიკით.

საანგარიშო პერიოდში რეალური ეფექტური გაცვლის კურსი 5.5 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსი 2.8 პროცენტით გამყარდა, რაც წინა კვარტალში დაფიქსირებული ტენდენციის შებრუნებას წარმოადგენს.

2006 წლის II კვარტალში მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვნად გაუარესებამ გასული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სემონური გრადიცი დაარღვია, რაც მთლიანად საქონლით საგარეო ვაჭრობაში შექმნილი პრობლემების შედეგია. მოვლენათა ამგვარი განვითარება სრულიად შეესაბამება 2006 წლის I კვარტალის ინფლაციურ მიმოხილვაში გაკეთებულ პროგნოზებს.

ამავე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები – ზრდის ტემპი, პრაქტიკულად, ყველა ტიპის საგადასახადო შემოსავლების ორნიშნა მაჩვენებლით გამოიხატა (სათამაშო ბიზნესისა და აქციების გარდა). ქვეყნის ბიუჯეტის ზრდა სამომხმარებლო ხარჯების ზრდას უწყობდა ხელს, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციები, გრადიციულად, ძირითადი კაპიტალის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროდ განიხილებოდა. ეს ფაქტორები, მთლიანობაში, განაპირობებდა სახელმწიფო ბიუჯეტის გაველენას ფასების საერთო ღონეზე.

2006 წლის I კვარტალში მშპ-ის რეალურმა წლიურმა ზრდამ 8.4 პროცენტი შეადგინა. სოფლის მეურნეობის ღარგების, ელექტროენერჯის წარმოების, საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენჯისა და სახელმწიფო მართვის გარდა, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში ზრდის დაღებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2006 წლის ბოლოსათვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის საპროგნოზო ზრდის მაჩვენებელი 8.3-9.0 პროცენტის ფარგლებში იქნება. ფასების მაგების ასეთი ტემპი განპირობებულია როგორც ეგზოგენური შოკებით, ისე ფულის მასის ზრდის შეღარებით სწრაფი ტემპით. შესაბამისად, მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის მიმართულების გამკაცრება.

სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდის ტემპის 2006 წლის I კვარტალში დაფიქსირებული კლების შემდეგ, II კვარტალში ამ მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა და ივნისის წლიური ინფლაცია 11.4 პროცენტით განისაზღვრა.

ფასების საერთო ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ფასების ზრდის მიზეზები, რათა შეფასდეს სამომხმარებლო ფასების ინდექსის მაღალი ტემპით ზრდის დროებითი თუ პერმანენტული ხასიათი. უდავოა, რომ ინფლაციაზე ეგზოგენური (არამონეტარული) ფაქტორების გავლენის კრებსითი ფუქტი ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას იწვევს. წლიური ინფლაციის 11.4 პროცენტიდან, საკუთრივ, მხოლოდ რვა პროცენტზე (საერთო წონით 12.7 პროცენტი) 6.6 პროცენტული პუნქტი მოდიოდა.

ამავე დროს, ფასების შემცირების მიმართულებით ეგზოგენური ფაქტორების გავლენა უმნიშვნელო იყო. მაგალითად, სიგარეტის აქციზის შემცირების მიუხედავად, იმის გამო, რომ წინა პერიოდში არამონეტარული ფაქტორების ბემოქმედებით აღნიშნული პროდუქტი გაძვირებული იყო, მისი ზეგავლენა ივნისის წლიურ ინფლაციაზე, ფასების შემცირების მიმართულებით, მხოლოდ 0.2 პროცენტული პუნქტი იყო.

ასევე საყურადღებოა, რომ, მიუხედავად გასული წლის ივლისში დამატებული ღირებულების გადასახადის 20-დან 18 პროცენტამდე შემცირებისა, მოიმატა საგადასახადო აღმინისტირების ღირებულება. მაღალი ინფლაციის, ძირითადად, ეგზოგენური ხასიათი იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო პერიოდში იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასების მაგება ადგილობრივი წარმოების პროდუქტზე ფასების ზრდის ტემპს აღემატებოდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ინფლაციურ ფონს კიდევ უფრო აძლიერებდა მოთხოვნის ფაქტორი. ეს გარემოება განპირობებულია იმითაც, რომ ბოლო პერიოდში სფი ინფლაციასა და მონეტარულ აგრეგატებს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი ფიქსირდებოდა, თანაც არა იმპორტული, არამედ ადგილობრივი და შერეული საბოლოო წარმოების პროდუქტების შემთხვევაში. ფულის მასასა და ინფლაციას შორის ლაგის (დროითი ჩამორჩენის) გარეშე კავშირიც საქართველოს მსგავსი განვითარების დონის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის გასაკვირი არ არის, რასაც სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა განაპირობებს.


ცხრილი 2.1

ძირითადი ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენა 2006 წლის ივნისის წლიურ ინფლაციაზე

დასახელება	წლიური ინფლაცია (პროცენტი)	ზეგავლენა, (პროცენტული პუნქტი)	ძირითადი გამოწვევი მიზეზები
ქათმის ხორცი	62.2	0.4	ფრინველის გრიბი
ქათმის ბარკალი	34.5	0.3	ფრინველის გრიბი
კვერცხი	81	0.9	ფრინველის გრიბი
კარგოფილი	75.5	1.5	იმპორტის შეზღუდვა (მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით კარგოფილის იმპორტი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლის 8 პროცენტს შეადგენდა) მსოფლიო ფასების მაგება
შაქარი	51.6	0.9	მსოფლიო ფასების მაგება
ელექტროენერჯის გადასახადი	56.2	1.5	რეგულირებადი ფასის ზრდა
ბუნებრივი გაზი	34.6	0.3	იმპორტის ტარიფის მაგება
ბუნხინი „ნირმალი“ და „რეგულარი“	30.4	0.8	მსოფლიო ფასების მაგება
სულ	52.6	6.6	

ბრაზიკი 2.1

წლიური სფი ინფლაცია თაგაბაქოსა და ნავთობპროდუქტების ჩათვლით და მათ ბარეშე



ცხრილი 2.2


ინფლაციის (სფი) მანძილში ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტით), მათი წონა საომოხმარებლო კალაში (პროცენტით) და ზაბაბისა სფი-ზე (პროცენტული პუნქტით)

	წონა				
	მაისი-2005 - ივნისი-2006/ მაისი-2004 - ივნისი-2005		მაისი-2005 - ივნისი-2006/ მაისი-2004 - ივნისი-2005		
	ინფლაცია	შეგავსება	ინფლაცია	შეგავსება	
სულ	100	7.1	7.1	11.4	11.4
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	42.6	7.7	3.3	17.8	7.8
სურსათი	41.2	7.6	3.2	18.2	7.7
პური და პურპროდუქტები	11.4	1	0.1	1	0.1
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.4	17.9	1.2	23.1	1.5
თევზი	0.9	17.9	0.2	21.6	0.2
რძე, ყველი და კვერცხი	5.6	13.1	0.7	30.8	1.6
მეტი და ცხიმი	3.5	0.2	0	1.6	0.1
ხილი, ყურძენი	2.4	16.7	0.5	16.5	0.6
ბოსტნეული, ბაღეული, კარტოფილის და სხვა ბოლქოვანების ჩათვლით	7.8	0.5	0	34.6	3.3
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჭები, შოკოლადი,	3.1	15.3	0.5	31.5	0.9
საკონდიტრო ნაწარმი					
კვების სხვა პროდუქტები	0.2	4.3	0	3.7	0
უალკოჰოლო სასმელები	1.4	8.5	0.1	6.4	0.1
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6.2	21.7	1.5	-0.2	0
განსაცემელი და ფუნქციონალური სახეობის სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეობა	8.8	8.5	0.7	28.9	2.4
აუჯა, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.2	1.9	0.1	-0.2	0
ჯანმრთელობის დაცვა	7.3	0.6	0	1	0.1
ტრანსპორტი	11.4	8.4	1	10.4	1.1
კომუნიკაციები	4.3	-5.2	-0.2	-7.1	-0.3
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1	2.4	0.1	1	0
განათლება	3	1.2	0	-0.4	0
სასაქონლო, კაფეები და რესტორნები	2.9	6.4	0.2	5.6	0.2
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	2.3	1.5	0	1.5	0
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	65.5	8.8	5.8	14.9	10.2
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	6.1	2.6	0.2	2.2	0.1
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	2.3	0.2	0	-0.7	0
მომსახურება	26.1	3.7	0.9	4	1

¹ გაანგარიშებისას წონები შესწორებულია სამომხმარებლო კალათის სხვადასხვა კომპონენტის ფაისის 2004-2005 წწ. დინამიკის გათვალისწინებით.

ბრაზივი 2.2

საშუალო წლიური სფი ინფლაცია თაბაქოსა და ნაწილობრივ პროდუქტების ჩათვლით და მათ გარეშე



საბაზო ინფლაცია

საყურადღებოა, რომ წლიური 11.4-პროცენტის სფი ინფლაციის ფონზე საბაზო ინფლაციის 10-პროცენტის სიმეტრიული შეკვეცილი ინდექსი 7.7 პროცენტს შეადგენს (9.2 პროცენტი 5-პროცენტის შეკვეცილის შემთხვევაში, შესაბამისად). საბაზო ინფლაციის მზარდი დინამიკა იმის მანიშნებელი იყო, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსზე, ეგზოგენური ფაქტორების გარდა, მოთხოვნის მხრიდან იყო მნიშვნელოვანი ზეწოლა.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი


2006 წლის II კვარტალში დაფიქსირდა მწარმოებელთა ფასების ინდექსის საკმაოდ მაღალი ზრდა. კერძოდ, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 13.9 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც გასული წლის I კვარტალთან შედარებით ზრდის მაჩვენებელი 16.6 პროცენტი იყო. ზრდის ტენდენციის გამოკვეთაში ძირითადი წვლილი შეიტანა სამთომომპოვებით მრეწველობაში ფასების ზრდამ (წლიური 47.6 პროცენტი, კვარტალური 42.4 პროცენტი, აქედან ლითონების მანქანების მოპოვება, შესაბამისად – 81.5 პროცენტი და 72.4 პროცენტი). აგრეთვე, 9.4 პროცენტით გაძვირდა საკვები პროდუქტების წარმოება, 13.4 პროცენტით – რემონტისა და პლასტიკის წარმოება. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქიმიური (15 პროცენტი) და სამედიცინო ტექნიკის წარმოება, სამომხმარებლო საშუალებების, ოპტიკური ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება (12 პროცენტი). მწარმოებელთა ფასების ინდექსის დინამიკა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იგი მნიშვნელოვან (რიგ შემთხვევებში – წინმსწრებ) ინფორმაციას იძლევა სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკის შესახებ და, შესაბამისად, მათ შორის მაღალი კორელაცია არსებობს (2005-06 წლებში – 88.7 პროცენტი), რაც ნათლად ჩანს გრაფიკზე.

აღსანიშნავია, რომ, თუ, გრადიციულად, სემონური ფაქტორები 2006 წლის II კვარტალში სამრეწველო ფასების ინდექსის დაცემას წინასწამეტყველებდა, რეალურად სახეზე გვექონდა ამ პარამეტრის მეტად მკვეთრი ზრდა, რისი ძირითადი მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ენერგომატერიალური ფასების მაგება იყო.

საბოლოო ჯამში, ამ კარაბა ფასების საერთო ღონეზე როგორც ეგზოგენური, ასევე ენდოგენური ფაქტორების ბეგავლენა. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორების შემთხვევაში, რომლის მასშტაბიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლოა გამოიწვიოს ინფლაციური მოლოდინის, სპირალის გაღვივება, მოთხოვნის ზრდის ტემპის შენელება მაინც მიზანშეწონილია.


ბრაზიკი 2.3

წლიური სწი ინფლაციის სამომხმარებლო კალათის ადგილობრივი, იმპორტული და უმრავლესი საბაზოლო წარმოების პროდუქტების მიხედვით




ბრაზიკი 2.6

სწი-სა და მწი-ს ინფლაციის დინამიკა (2004 წლის დეკემბერი=100)




ბრაზიკი 2.4

M2 ფულის მასის (თვის საშუალო მონაცემები) და სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდის ტემპი



ბრაზიკი 2.5

წლიური სწი და საბაზო ინფლაციის (სამომხმარებლო კალათის 311 კომპონენტის მიხედვით)



ცხრილი 2.3

სამომრეწველო პროდუქციის ფარგლებში ფასების ინდექსი 2006 წლის ივნისი

	წინა თვესთან	2005 წლის დეკემბერთან	2005 წლის ივნისთან
სამომრეწველო ფასების ინდექსი	101.0	113.9	107.6
სამომრეწველო ფასების ინდექსი	98.7	170.7	153.7
სამომრეწველო ფასების ინდექსი	100.0	126.4	92.1
სამომრეწველო ფასების ინდექსი	98.3	192.3	194.5
სამომრეწველო ფასების ინდექსი	100.3	108.3	100.6
სამომრეწველო ფასების ინდექსი	105.2	110.6	108.0
სამომრეწველო ფასების ინდექსი	101.9	101.4	70.1
სამომრეწველო ფასების ინდექსი	100.5	101.0	101.0
სამომრეწველო ფასების ინდექსი	102.3	99.8	101.2
სამომრეწველო ფასების ინდექსი	103.1	110.6	108.0
სამომრეწველო ფასების ინდექსი	100.0	100.0	104.1
სამომრეწველო ფასების ინდექსი	99.3	104.6	105.1
სამომრეწველო ფასების ინდექსი	100.2	98.5	97.4
სამომრეწველო ფასების ინდექსი	99.8	105.5	105.6
სამომრეწველო ფასების ინდექსი	86.0	106.5	75.3
სამომრეწველო ფასების ინდექსი	100.0	100.0	124.7
სამომრეწველო ფასების ინდექსი	104.7	107.6	93.8
სამომრეწველო ფასების ინდექსი	99.9	102.2	99.6
სამომრეწველო ფასების ინდექსი	104.5	111.0	107.4
სამომრეწველო ფასების ინდექსი	103.9	110.3	109.3

ინფლაციის ფაქტორები

3


ცხრილი 3.1.1

სარეზერვო ფულის ღირებულება
2006 წ., თვის საშუალო მონაცემებით

	12.05	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06
სარეზერვო ფული	965 679	962 173	980 628	1010 662	994 916	1009 900	1055 670	1085 049
ფული მძიმეცვლები	757 856	749 525	750 025	764 167	776 114	771 004	793 176	823 040
ბანკის ლევიანობები	207 823	212 648	230 602	246 495	218 802	238 896	262 493	262 008
სავალდებულო რეზერვები	130 669	130 971	135 858	139 980	142 765	149 461	156 064	161 843
საქართველოს საკრედიტო სისტემის ავტორიზებული ნაწილები	77 154	81 677	94 744	106 515	76 037	89 435	106 429	100 165
სარეზერვო ფულის წლიური მზღა	19.72%	22.14%	26.34%	27.37%	21.88%	20.78%	24.65%	21.95%

ბრაზიკი 3.1.1

სარეზერვო ფულის ღირებულება
2004-2006 წწ.



ცხრილი 3.1.2

სარეზერვო ფულის ღირებულება
2006 წ., თვის ბოლო მონაცემებით

	12.05	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06
სარეზერვო ფული	1001 451	981 862	1003 217	978 908	1035 131	1013 794	1044 679	1092 892
ფული მძიმეცვლები	811 400	749 215	756 571	775 443	792 910	776 499	803 260	828 941
ბანკის ლევიანობები	190 051	232 647	246 646	203 466	242 221	237 295	241 418	263 952
სავალდებულო რეზერვები	129 833	133 183	137 960	139 334	143 655	151 959	158 689	162 958
საქართველოს საკრედიტო სისტემის ავტორიზებული ნაწილები	60 218	99 464	108 686	64 132	98 566	85 335	82 729	100 994
სარეზერვო ფულის წლიური მზღა	19.71%	26.91%	25.84%	20.98%	22.24%	21.86%	18.81%	21.27%

3.1. მონეტარული აგრეგატები

2006 წლის ივნისში, თვის საშუალო მონაცემების მიხედვით, სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ 24.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო M2 და M3, შესაბამისად 40.7 და 44.3 პროცენტით გაიზარდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა ჭარბი ლიკვიდობის განვითარების მიმართულებით წარმართა. ჭარბი ლიკვიდობის აბსორბირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ივნისში აქტიურად იყენებდა მის ხელთ არსებულ მონეტარულ ინსტრუმენტებს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საკრედიტო და სადეპოზიტო აუქციონების მეშვეობით ამოღებული ლიკვიდობა. საკრედიტო აუქციონებზე შემდგარი 21 გარიგების მეშვეობით ამოღებულ იქნა 61.1 მლნ ლარის ლიკვიდობა, ხოლო სადეპოზიტო აუქციონის მეშვეობით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევიდან ამოიღო 15 მლნ ლარი.

ლიკვიდობის აბსორბირების აუცილებლობა გამოწვეული იყო მიმოქცევაში არსებული ფულის მასის მნიშვნელოვანი ზრდით, რისი ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე განხორციელებული ინტერვენციებიც იყო. ლარის კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საერთო ჯამში შესყიდულ იქნა 74.3 მლნ აშშ დოლარი. სულ, 2006 წლის II კვარტალში მონეტარული ინსტრუმენტებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევიდან ამოიღო 76.1 მლნ ლარი.

ფართო ფული

2006 წლის ივნისში, თვის საშუალო მონაცემების მიხედვით, M2 და M3 აგრეგატების ზრდამ II კვარტალში, შესაბამისად, 15 და 12.5 პროცენტი შეადგინა, რაც, ძირითადად, დეპოზიტების მაგვობამ განაპირობა. ამავე პერიოდში სადეპოზიტო ვალდებულებები ეროვნული და უცხოური ვალუტით 261 მლნ ლარით გაიზარდა, აქედან უცხოური ვალუტით დეპოზიტები გაიზარდა 81.1 მლნ აშშ დოლარით, ხოლო


ცხრილი 3.1.3

ფულადი აბრეშაბების ქოველთხოვრი ცვლილება 2006 წ., თვის საშუალო მონაცემებით

	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06
ფართოფული /M3/	1903 627	1921 751	1993 524	2082 984	2113 973	2243 630	2306 400
ფულადი მასა /M2/	1050 325	1039 195	1073 505	1117 572	1118 633	1235 061	1248 464
ბანკებსგარეთ არსებული ნაღდი	683 949	683 061	690 421	710 012	691 760	717 759	737 754
ფული							
ღარი მიმოქცევა	749 405	751 361	766 587	785 728	765 605	797 349	823 040
ღარი მიმოქცევა							
ეროვნული	342 123	356 134	383 085	407 559	426 872	517 302	510 710
ვალუტით							
ღარი მიმოქცევა	877 555	882 556	920 018	965 413	995 340	1008 568	1057 936
უცხოური ვალუტით							
ფართო ფული /M3/	32.81%	32.34%	34.02%	36.42%	33.95%	40.34%	39.71%
ფართო ფული /M2/	29.66%	31.63%	34.44%	36.39%	34.64%	44.26%	39.57%
ფართო ფული /M2/							
ფართო ფული /M2/							

ბრაზილი 3.1.2

ფართო ფული 2004-2006 წწ.



ცხრილი 3.1.4

ფულადი აბრეშაბების ქოველთხოვრი ცვლილება 2006 წ., თვის ბოლო მონაცემებით

	01.06	02.06	03.06	04.06	05.06	06.06	07.06
ფართოფული /M3/	1937 372	1967 731	2003 218	2166 389	2157 712	2284 205	2318 376
ფულადი მასა /M2/	1050 325	1052 238	1087 516	1142 254	1146 637	1251 806	1247 437
ბანკებსგარეთ არსებული ნაღდი	682 176	688 986	709 102	714 856	706 063	729 106	744 932
ფული							
ღარი მიმოქცევა	749 215	756 571	775 443	792 910	776 499	803 260	828 941
ღარი მიმოქცევა							
ეროვნული	368 149	363 252	378 414	427 398	440 574	522 700	502 505
ვალუტით							
ღარი მიმოქცევა	887 047	915 494	915 701	1024 135	1011 074	1032 399	1070 939
უცხოური ვალუტით							
ფართო ფული /M3/	35.52%	33.62%	33.82%	36.56%	36.52%	40.27%	37.81%
ფართო ფული /M2/	34.22%	30.34%	33.86%	33.36%	36.51%	40.70%	35.94%
ფართო ფული /M2/							
ფართო ფული /M2/							

ლარით დენომინირებული დეპოზიტების მაგება 144.3 მლნ ლარი შეადგინა. ბანკებსგარეთ არსებული ნაღდი ფულის 20 მლნ ლარით და საღებო მიწის ვალდებულებების ზრდის ფონზე, ფართო ფულის M3 აგრეგატი წლის დასაწყისიდან 281.3 მლნ ლარით, ხოლო ფართო ფულის M2 აგრეგატი 164.3 მლნ ლარით გაიზარდა. შესაბამისად, M3 აგრეგატის მოცულობა იენისის ბოლოს 2284.2 მლნ ლარს, ხოლო M2-ისა 1251.8 მლნ ლარს გაუტოლდა.

3.2. საპროცენტო განაკვეთების, საღებო მიწის ვალდებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა

2006 წლის II კვარტალში საღებო მიწის ვალდებულებებმა შთამბეჭდავი ოდენობით – 261 მლნ ლარით მოიმატა და იენისის ბოლოს 1.555 მლნ ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტით მიღებული დეპოზიტები 144.3 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტები – 116.7 მლნ ლარით. ანალოგიურად, გაიზარდა ბანკების მიერ დაკრედიტების მახვილებელი – II კვარტალში უცხოური და ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობამ 288.2 მლნ ლარით მოიმატა. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 115.4 მლნ ლარს, ანუ პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხების 41.8 პროცენტს შეადგენდა. თუმცა, ლარით გაცემული სესხების უდიდესი ნაწილი მოკლევადიანია. 2006 წლის II კვარტალის განმავლობაში მთლიან პორტფელში შემცირდა ეროვნული ვალუტით გაცემული გრძელვადიანი სესხების წილი, თუმცა, საპროცენტო განაკვეთი ამ კატეგორიის სესხებზე არ შეცვლილა.

აქტივებისა და დეპოზიტების ზრდის მაღალი ტემპი, ზოგადად, საბანკო სისტემისა და მოსახლეობის ნდობის ფაქტორის გაძლიერებაზე მეტყველებს – ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთი ფულადი სახსრების განთავსებას საღებო მიწის ვალდებულებებში ახდენენ. ამასთან, ბანკების რესურსები მხოლოდ დეპოზიტორებით არ შემოიფარგლება. საკრედიტო რესურსის ერთ-ერთი მძლავრი წყაროა უცხოური საფინანსო დაწესებულებებისაგან მიღებული შეღავათიანი საკრედიტო ხაზები. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის მოცულობის ზრდის ფონზე, გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების შემცირების გენდენცია, რომელიც გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით: კონკურენციის ზრდით და საკრედიტო რისკის შემცირებით. საბანკო პროდუქტები და მომსახურების დონე, განსაკუთრებით დიდ ბანკებში, უფრო ჰომოგენური ხდება, რაც მომხმარებელს ბანკების


ბრაზიკი 3.2.1

ვალიანი დეპოზიტების მოცულობა (მარცხენა სკალა, მლნ ლარი) და საპროცენტო განაკვეთები (მარჯვენა სკალა) 2005-2006 წწ.




ბრაზიკი 3.2.2

სესხების მოცულობა (მარცხენა სკალა, ათასი ლარი) და საპროცენტო განაკვეთები (მარჯვენა სკალა) 2005-2006 წწ.



ბრაზიკი 3.2.3

მოლიანი სესხებისა და ვალადაცხადებული სესხების განაწილება რეზიდენტ მუშაობის და ფიზიკურ პირებს 2006 წ., პირველი იანვრის მდგომარეობით



საპროცენტო განაკვეთის მიხედვით განსხვავების შესაძლებლობას აძლევს. ნიშანდობლივია, რომ ბიზნესისათვის სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შექმნამ რისკის პრემიის შემცირება განაპირობა. შესაბამისად, ბანკები და მათი კლიენტები უფრო ეფექტურები გახდნენ. ასევე, საბანკო სექტორისათვის დამახასიათებელია მასშტაბის ეკონომია. ფინანსური მრდის პარალელურად, ბანკებს ექმნებათ ხარჯების ეფექტურად მართვის უკეთესი პირობები.


ზოგადად, გაუმჯობესდა ბანკის კლიენტების გადახდისუნარიანობა, რაც ქვეყანაში ბიზნესის წარმოებისთვის უკეთესი გარემოს შექმნასთან არის დაკავშირებული. მსოფლიო ბანკის მიერ 2006 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ ანგარიშში (Anticorruption in Transition 3 – Who Is Succeeding . . . and Why?), რომელიც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლას ეხება, ერთმნიშვნელოვნად აღნიშნულია, რომ საქართველომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზულ პროგრესს მიაღწია, რამაც მეწარმეებისათვის ხარჯების შემცირების პირობები შექმნა. სტაბილური და მდგრადი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად საქართველოში მომავალშიც გაგრძელდება სესხებზე რისკის პრემიის კლება.

სესხების გაღანაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით გვიჩვენებს, რომ სესხები ძირითადად ვაჭრობის, მრეწველობისა და მშენებლობის სფეროებში არის კონცენტრირებული. აღსანიშნავია, რომ მათი მნიშვნელოვანი წილი ფიზიკურ პირებზე მოდის. საფინანსო და სახელმწიფო სექტორის გარდა, სესხების უმეტესობა უცხოური ვალუტით არის გაცემული. ვალაგადაცხადებული სესხების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი სოფლის მეურნეობის სფეროშია. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწესებული ემბარგო განსაკუთრებით უარყოფითად სწორედ სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული სესხების დაბრუნებალობაზე მოქმედებს.

ვალანობის მიხედვით სესხების სტრუქტურის განხილვა გვიჩვენებს, რომ ლარის წილი განსაკუთრებით მაღალია მოკლევადიან სესხებში. 2006 წლის II კვარტალის ბოლოს ლარით გაცემულმა მოკლევადიანმა სესხებმა უცხოური ვალუტით გაცემული სესხების 87 პროცენტი შეადგინა. გრძელვადიანი სესხების მოცულობაში კი ლარმა უცხოური ვალუტის მხოლოდ 20 პროცენტი შეადგინა. საპროცენტო პრემიაში (ლარით გაცემული სესხის შემოსავლიანობის ფარდობა უცხოური ვალუტით გაცემული სესხის შემოსავლიანობასთან) გრძელვადიან სესხებზე საკმაოდ მაღალია (დაახლოებით 30 პროცენტი), ხოლო პრემია ლარით გაცემულ მოკლევადიან სესხებზე მხოლოდ 5 პროცენტია.


ბრაზიკი 3.2.4

ბრძოლაში და მკაცრად დამოკიდებულ სავალუტო სტრუქტურის და საპროცენტო ბანაკების ცვლილება




ბრაზიკი 3.2.5

ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ფარგლები უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებთან (მარცხენა სკალა) და საპროცენტო პერიოდში ლარით გაცემულ სესხებზე (მარჯვენა სკალა)



ბრაზიკი 3.3.1

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მიწოდება-მოთხოვნის შორის სხვაობა და საპროცენტო პერიოდში ბანკის მიწოდება 2006 წ., II კვარტალი



ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ბანკები, სხვა ეკონომიკური აგენტების მსგავსად, გრძელვადიან პერსპექტივაში ლარის გაუფასურებას მოელიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეიმჩნევა ამ მოლოდინის თანდათანობით შეცვლის ნიშნები. სესხების მთლიან მოცულობაში ლარით გაცემული სესხების წილი გამოკვეთილად მრავალი გენდენციით ხასიათდება. აღნიშნული საყურადღებოა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროცენტო პრემიაში არ გამრდილა, პირიქით – გრძელვადიან სესხებში მისი შემცირება შეიმჩნევა. ეროვნული ვალუტით გაცემული მოკლევადიანი სესხების წილის მრავალი, საპროცენტო პრემიაში მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე, განპირობებულია მოთხოვნის ფაქტორებით და ეკონომიკის დოლარიზაციის კლებამზე მიუთითებს.

3.3. სავალუტო კურსი, დოლარიზაცია და საგადასახდლო ბალანსი


სავალუტო ბაზარი

2006 წლის II კვარტალის განმავლობაში ლარის გაცვლის კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარების აშკარა ტენდენციით ხასიათდებოდა. თუ კვარტალის დასაწყისში ლარის კურსი 1.827-ის ნიშნულით განისაზღვრებოდა, 30 ივნისს იგი 1.772-ს გაუტოლდა, რაც 3 პროცენტით გამყარებას შეესაბამება. ლარის გამყარება გამრდილ მოთხოვნას უკავშირდება. ამასთან, 2005 წლის II კვარტალთან შედარებით ლარის კურსი გამყარდა როგორც პერიოდის ბოლო (2.18 პროცენტი), ისე პერიოდის საშუალო (1.18 პროცენტი) მონაცემებით.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე, 2006 წლის I კვარტალთან შედარებით, კიდევ უფრო მაღალი იყო აქტივობა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კომერციული ბანკების მხრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც უცხოური ვალუტის მოთხოვნა, ისევე მისი მიწოდება – თუ 2005 წლის II კვარტალში ეს ორი პარამეტრი, შესაბამისად, 39.3 და 65.6 მლნ აშშ დოლარი იყო, 2006 წლის II კვარტალში ეს მაჩვენებლები 58.4 და 183.1 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ლარის გაცვლის კურსის თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული ლინამიის მსგავსი იყო ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ლარის კურსის ქცევა. კერძოდ, ლარის გაცვლის კურსი ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში 1.767-1.83 ფარგლებში მერყეობდა. განსხვავება ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის შედარებით მცირე იყო (კვარტალის განმავლობაში 1.8008-1.8062 საშუალო მნიშვნელობები, 0.018 და 0.0175

ბრაზილი 3.3.2

ლარის ბანკოტური კურსის დინამიკა
2006 წ., II კვარტალი



სტანდარტული გადახრები, შესაბამისად, ყიდვისა და გაყიდვის კურსებისთვის). აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ლარის გაცვლის კურსის დინამიკას ქვეყნის მასშტაბით ერთი და იგივე მამოძრავებელი ფაქტორი განსაზღვრავდა.

ევროს მიმართ ლარის გაცვლის კურსის კვარტალური ცვლილება უმნიშვნელო იყო (2.213 – კვარტალის დასაწყისში და 2.2233 – კვარტალის ბოლოს). თუმცა, საანგარიშო პერიოდის ძირითადი ნაწილის განმავლობაში ლარი ევროს მიმართ უფასურდებოდა და 6 ივნისს მინიმუმს – 2.326-ს მიაღწია, რის შემდეგაც კურსის სწრაფი გამყარება დაფიქსირდა. როგორც გრაფიკებზე ჩანს, ანალოგიური იყო ლარის კურსის დინამიკა სხვა ვალუტების მიმართ, გარდა თურქული ლირას შემთხვევისა. ამ უკანასკნელისათვის სახეზე იყო ლარის მიმართ მკვეთრი – 18.75% – გამყარება.

გაცვლის კურსის ზეგავლენა ინფლაციაზე საქართველოში

ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის გამოყენებით, ჩვენ განვახილეთ გაცვლის კურსის გადაცემის მექანიზმის გამოკვლევა საქართველოსათვის. 1999-2006 წლების მონაცემებზე დაყრდნობით დადასტურდა, რომ გაცვლის კურსის ზეგავლენა ინფლაციაზე 60 პროცენტადან 20 პროცენტამდე შემცირდა, რაც გაცვლის კურსის გამყარებითა და მისი მერყეობის შემცირებით შეიძლება აიხსნას. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ გაცვლის კურსის რყევები მაკროეკონომიკური გარემოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ:

- გაცვლის კურსის გავლენა საკმაოდ ხანგრძლივად გრძელდება და, დაახლოებით, მხოლოდ 18 თვის შემდეგ მიიღევა;
- გაცვლის კურსის შემოქმედება ინფლაციაზე ასიმეტრიულია და მისი გაუფასურება უფრო მეტად აისახება ინფლაციაზე, ვიდრე გამყარება. თუმცა, გამყარების შედეგად გამოწვეული შოკი ინფლაციაზე უფრო ხანგრძლივად მემოქმედებს;
- როგორც გამოთვლებმა აჩვენა, გაცვლის კურსის რყევები უმნიშვნელოდ, თუმცა, უფრო საგრძნობლად მემოქმედებს სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე, ვიდრე იმპორტის ინფლაციაზე;
- სამომხმარებლო ფასების ცვლილებას (პირველი ორი

თვის მანძილზე 90 პროცენტს, ხოლო შემდეგ კი 80 პროცენტს) უმეტესად ადგილობრივი ფასების შოკი იწვევს.


როგორც ფინეთის ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, გაცვლის კურსის გავლენა ინფლაციაზე გაცილებით მაღალია რუსეთში და იგი 42 პროცენტს აღწევს. ბოლო წლებში ნავთობის ფასის მრდამ აშშ დოლართან მიმართებით რუსული რუბლის გამყარება გამოიწვია, ხოლო რუსეთის ცენტრალური ბანკი ცდილობდა გაცვლის კურსის გამყარების შენერებას, რამაც ინფლაციის მრდა განაპირობა; ამის გამო, რეალური გაცვლის კურსის გამყარება ნომინალური გაცვლის კურსის გამყარებითა და ადგილობრივი ფასების მრდით არის გამოწვეული; შედეგად, ადგილობრივი ვალუტის გამყარება ინფლაციის მრდასთან არის კორელაციაში.

რაც შეეხება თურქეთს, გაცვლის კურსის გავლენა ინფლაციაზე 31 პროცენტადან 38 პროცენტამდე იცვლება. შედარებით დაბალია გადაცემის სიჩქარე და იგი 6 თვის შემდეგ 0.56-ს უახლოვდება.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკური პოლიტიკა ევროგაერთიანებაში ინტეგრირებისაკენ იყო მიმართული, ევროსთან მიმართებით გაცვლის კურსის ზეგავლენა ინფლაციაზე და 10 პროცენტადან (ხორვატია) 67 პროცენტამდე (სლოვენია) იცვლება, თუმცა შედარებით დაბალია ზეგავლენის სიჩქარე.


ბრაზიკი 3.3.3

ლარის ბაცვლის კურსის დინამიკა ევროსა და აშშ დოლარის მიმართ
2006 წ., II კვარტალი




ბრაზიკი 3.3.4

ლარის ბაცვლის კურსის დინამიკა რუსული რუბლისა და დიდი ბრიტანეთის პირენაძა სტერლინგის მიმართ
2006 წ., II კვარტალი



ბრაზიკი 3.3.5

ლარის ბაცვლის კურსის დინამიკა შვეიცარიული ფრანკისა და თურქული ლირას მიმართ
2006 წლის II კვარტალი



რეალური გაცვლის კურსი

2006 წლის II კვარტალში საპირისპიროდ შეიცვალა რეალური ეფექტური გაცვლის კურსის წლის I კვარტალში დაფიქსირებული გაუფასურების ტენდენცია – თუ 2005 წლის ბოლოს რეალური ეფექტური გაცვლის კურსის ინდექსი 110.2-ის ტოლი იყო, ხოლო 2006 მარტის ბოლოსათვის კი 105.3-ს გაუტოლდა, ივნისის ბოლოს ამ ინდექსმა 111.1 შეადგინა, რაც კვარტალური მაჩვენებლის 5.5 პროცენტით გამყარებას შეესაბამება. იგივე შეიძლება ითქვას ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსის შესახებ, რომელიც კვარტალის განმავლობაში 2.8 პროცენტით გამყარდა (203.8-დან 209.6-მდე). აქვე აღსანიშნავია, რომ 2005 წლის II კვარტალის მაჩვენებლებთან შედარებით როგორც ნომინალური, ისე რეალური ეფექტური გაცვლის კურსი გამყარდა – 1.8-ითა და 6.8 პროცენტით, შესაბამისად.

ანალოგიური დინამიკით ხასიათდებოდა ლარის რეალური გაცვლის კურსი ცალკეულ ვალუტებთან მიმართებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად – 23.2 პროცენტით გამყარდა ლარის რეალური გაცვლის კურსი თურქული ლირას მიმართ.

საგადასახდელო ბალანსი

2006 წლის II კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, გრძელდებოდა საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის გაუარესების ტენდენცია. განსხვავებით წინა წლებისაგან, როდესაც პერიოდის II (და ასევე III) კვარტალში, როგორც წესი, დროულად აღგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას (ენერგომატარებლებზე მოთხოვნისა და, შესაბამისად, მათი იმპორტის შემცირების გამო), 2006 წლის II კვარტალში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც მთლიანად საჭიროდ საგარეო ვაჭრობაში შექმნილი პრობლემების შედეგია.


მიმდინარე წლის განვლილ 6 თვეში, 2005 წლის პირველ ნახევართან შედარებით, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი 76.9 პროცენტით გაუარესდა და 307.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 207.8 მლნ აშშ დოლარის დეფიციტი (67.6 პროცენტი) II კვარტალზე მოდის, რაზეც ქართულ პროდუქციაზე რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესებამ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა.

საქონლით საგარეო ვაჭრობის¹ დეფიციტი განვილი 6 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან

¹ აქ და შემდეგ საქონლით საგარეო ვაჭრობაში იგულისხმება „სარკისებური“ მეთოდით კორექტირებული საქართველოს საბაჟო სამღვაწე რეგისტრირებული ექსპორტი და იმპორტი.


გრაფიკი 3.3.6

რეალური და ნომინალური ევოლუციური ინდექსების კურსის ინდექსი
 ლეკუმბერი, 1995=100



გრაფიკი 3.3.7

ლარის რეალური ინდექსის კურსის ინდექსი
 სხვადასხვა ვალუტების მიმართ
 ლეკუმბერი, 1995=100



შედარებით, 61.8 პროცენტით გაიზარდა და 604.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თუ იმპორტის ექსპორტით ლაფარვის კოეფიციენტი, 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (63 პროცენტი) შედარებით, მიმდინარე წლის I კვარტალში 3.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 66.6 პროცენტს მიაღწია, II კვარტალში პირიქით – 7.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 55.3 პროცენტი შეადგინა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოსათვის დაწესებული სავაჭრო აკრძალვების შედეგები, მიმდინარე წლის II კვარტალში უფრო გაუარესდებოდა, რომ არა ზოგიერთი ისეთი სახის პროდუქციის ექსპორტის სერიოზული ზრდა, რომელსაც მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია საქართველოს ექსპორტში.


საქონლის ექსპორტის მოცულობა 2006 წლის 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 43.2 პროცენტით გაიზარდა და 915.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 639.0 მლნ აშშ დოლარისა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის II კვარტალში საქართველოს ექსპორტის მოცულობას რუსეთის ემბარგოს გამო, დაახლოებით, 35-40 მლნ აშშ დოლარამდე დააკლდა, მისი ზრდა განაპირობა ისეთი სახის საქონლის ექსპორტის მნიშვნელოვანმა მაგებამ ამავე პერიოდში, როგორებიცაა საფრენი აპარატები (ექსპორტის მოცულობა II კვარტალში გაიზარდა 2.3-ჯერ), სპილენძის მადანი და კონცენტრატები (შესაბამისად, 2.3-ჯერ), მსუბუქი ავტომობილები (2.0-ჯერ) და შავი ლითონების ჯართი (1.5-ჯერ). მარტო ამ ოთხ სახეობაზე მთლიანი ექსპორტის 30 პროცენტამდე მოდის. შედარებით მცირედ გაიზარდა ოქროსა (6.8 პროცენტით) და ფეროშენადნობების (2.4 პროცენტით) ექსპორტი. დანარჩენი პროდუქციის (რომლებიც არ შედის უმსხვილეს საექსპორტო ათეულში) ექსპორტი, საშუალოდ, 25.9 პროცენტით გაიზარდა.

მიმდინარე წლის 6 თვეში ღვინის ექსპორტმა, რომლის 3/4-ზე მეტი გრადიციულად რუსეთზე მოდიოდა, 27.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14.9 პროცენტით ნაკლებია 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. თუმცა, მისი მოცულობა II კვარტალში, 2005 წლის II კვარტალთან შედარებით, 69.4, ხოლო 2006 წლის I კვარტალთან შედარებით, 74.0 პროცენტით შემცირდა.


ქვეყნიდან ექსპორტირებული მინერალური წყლის 70 პროცენტზე მეტი, გრადიციულად, ასევე რუსეთზე მოდიოდა (2006 წლამდე). მიმდინარე წლის 6 თვეში პროდუქციის ამ სახეობის ექსპორტმა 18.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც, მიუხედავად რუსეთის მხრიდან მისი იმპორტის აკრძალვისა, 31.1 პროცენტით მეტია 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ეს იმან განაპირობა, რომ 2006 წლის I კვარტალში მინერალური წყლის ექსპორტის მოცულობამ 2.1-ჯერ

გადააჭარბა გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. თუმცა, II კვარტალში, 2005 წლის II კვარტალთან შედარებით, 14.3, ხოლო 2006 წლის I კვარტალთან შედარებით 30.3 პროცენტით შემცირდა.

ბრაზიკი 3.3.8
მიმდინარე ანგარიშის დინამიკის დინამიკა



ბრაზიკი 3.3.9
უმსხვილესი საქსპორტო ათეულის პროდუქციის მოცულობის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი) 2005-2006 წწ., I ნახევარი




2006 წლის განვლილ 6 თვეში გრძელდებოდა საქონლის იმპორტის წინმსწრები ტემპით მრდის გენდენცია ექსპორტთან შედარებით. გასული წლის I ნახევართან შედარებით საქონლის იმპორტის მოცულობა 50.1 პროცენტით გაიზარდა. იმპორტის სერიოზული მაგება გამოიკვეთა II კვარტალში, როდესაც მან 2005 წლის II კვარტალთან შედარებით 58.0, ხოლო 2006 წლის I კვარტალთან შედარებით – 29.0 პროცენტით მოიმატა. ასეთი ვითარება, ერთი მხრივ, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასების მრდამ, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის მხრიდან საქართველოსათვის ბუნებრივი აირის გაძვირებამ განაპირობა. მარტო ამ ორი სახეობის წილად იმპორტის მთლიანი მაგების 1/5-ზე მეტი მოდის. თუმცა, მნიშვნელოვნად გაიზარდა არაერთი ისეთი საქონლის იმპორტის მოცულობა, როგორებიცაა: მსუბუქი ავტომობილები, რომელთა შემოტანა, 2005 წლის I ნახევართან შედარებით, 2.1-ჯერ გაიზარდა, ხორბალი – 2.1-ჯერ, გაღამცემი რადიო- და ტელეკომუნიკაციები და მანქანები მონაცემთა ავტომატური დამუშავებისათვის – 1.8-ჯერ თითოეული, ასევე ზოგიერთი სხვა სახის საქონელი (საშუალოდ – 1.6-ჯერ). იმპორტის ასეთი მრდა მნიშვნელოვანწილად საბაჟო პროცედურების გამარტივებითაც აიხსნება. შედეგად, 2006 წლის განვლილ 6 თვეში საინვესტიციო საქონლის იმპორტი, გასული წლის I ნახევართან შედარებით, 81.1 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის 13.8 პროცენტი შეადგინა (ნაცვლად 12.3 პროცენტისა). სამომხმარებლო საქონლის იმპორტი, იმავე პერიოდში, 55.5 პროცენტით გაიზარდა, თუმცა მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 39.5-დან 37.9 პროცენტამდე შემცირდა.

მომსახურების ბალანსი, 2005 წლის I ნახევართან შედარებით, გაუმჯობესდა და 96.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 60.4 მლნ აშშ დოლარისა (ანუ 59.9 პროცენტით მეტი). თუმცა, ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები სერიოზულ გავლენას ახდენდა მასზე, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვალსაზრისით.

ქართულ პროდუქციაზე რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ არანაკლები გავლენა მოახდინა ორ ქვეყნის შორის სატრანსპორტო გადაზიდვებზეც, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო მომსახურების ბალანსი გაუარესდა და მისმა დეფიციტმა 26 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ასევე დეფიციტური იყო სამშენებლო, საღებავი, ფინანსური და ზოგიერთი სხვა სახის საქმიანი მომსახურების ბალანსებიც, რომელთა


მიხედვითაც საერთო ლეფიციტმა, დაახლოებით, 30 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. თუმცა, მომსახურების საერთო ბალანსის მდგომარეობაზე უპირატესი გავლენა მოახდინა დადებითმა ტენდენციებმა მილსადენი გრანსპორტისა და გურიზმის სფეროში.

ბრაზიკი 3.3.10
უმსხვილესი საიმპორტო ათეშლის პროდუქციის მოცულობის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)
2005-2006 წწ., I ნახევარი



ნავთობსადენის ამოქმედებისა და მისი სათანადო დატვირთვის კვალობაზე იკვეთება მილსადენი გრანსპორტიდან მიღებული შემოსავლების მზღის ტენდენცია. საანგარიშო პერიოდში ნავთობის გაღამიღვით მიღებული შემოსავლები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 38.8 პროცენტით გაიზარდა და 26 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც მომსახურების ექსპორტიდან შემოსავლების 5 პროცენტს შეადგენს (ანუ 1 პროცენტული პუნქტით მეტს, ვიდრე საშუალოდ 2005 წლის განმავლობაში).

ბრაზიკი 3.3.11
საქართველოში შემოსული უცხოური კაპიტალის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)



ქვეყანაში გურისგული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობის, ასევე მოსამზღვრე სახელმწიფოებთან მიმოსვლის პროცესების ლიბერალიზაციის ფონზე, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა საქმიანი და პირადი გურიზმის მასშტაბების მზღა. 2006 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში საქართველოში შემოსული უცხოელების რაოდენობამ 294.2 ათასი შეადგინა, რაც 84.3 ათასით, ანუ 40.2 პროცენტით აჭარბებს გასული წლის ანალოგიურ პერიოდში საქართველოში უცხოელთა ვიზიტების რაოდენობას. განვიღვ ნახევარ წელიწადში 47.6 პროცენტით, ანუ 168.2 ათასით გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების უცხოეთში გასვლების რაოდენობა და 521.2 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად გურისგული მომსახურების დადებითმა საღლომ 126.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა მომსახურების ბალანსის გრაექტორიის მიმართულება.

შემოსავლების ანგარიში კვლავ ნაკლებ გავლენას ახღვს საგაღასახღვლო ბალანსის მდგომარეობაზე. საანგარიშო პერიოდში იგი უარყოფითი იყო, თუმცა მასზე მოღიღა მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტის მხოლოდ 7 პროცენტი.

შემოსავლების ანგარიშისაგან განსხვავებით, მიმდინარე გრანსფერტები კვლავ რჩება არა მარგო საგაღასახღვლო ბალანსის, არამედ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად. განსაკუთრებით ღიღა ბაზარზე მისი მოთხოვნის მზღის თვალსაზრისით შემოქმედება, ვინაიღან ქვეყანაში შემოსული მიმდინარე გრანსფერტების უღიღეს ნაწილს კვლავ ფულადი გრანსფერტები წარმოადგენს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ უკანასკნელზე მოღის მიღებული მიმდინარე გრანსფერტების 87 პროცენტი (ნაცვღად 84 პროცენტისა 2005 წლის I ნახევარში), რაც დაახლოებით 240 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (შესაბამისად, 153.4 მლნ აშშ დოლარი) და მოღიანი შიღა

პროექტის 7-8 პროცენტის ფარგლებშია.
შეღარებისათვის: 2005 წელს შრომის ანაზღაურება ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტს შეადგენდა. ამავე დროს, კვლავ მაღალი ფულადი გრანსფერების თანაფარდობა შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან – თითქმის 0.75 პროცენტი (2005 წელს – 0.9 პროცენტი), რაც ეროვნულ ეკონომიკაზე ასეთი გზავნილების სერიოზულ გავლენაზე მიუთითებს.

კაპიტალისა და ფინანსური რესურსების ანგარიშის დაღებითმა საღლომ, მიმდინარე წლის I ნახევარში, 300 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 125.9 მლნ აშშ დოლარით მეტია იმავე მანქენებელზე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. ეს კაპიტალის ანგარიშის დაღებითი საღლოს 23.3 მლნ აშშ დოლარითა და ფინანსური ანგარიშის 120.6 მლნ აშშ დოლარით ზრდით არის გამოწვეული. ფინანსური ანგარიშის ასეთი შთამბეჭდავი ზრდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკალების ზრდამ გამოიწვია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა ქვეყნის საბანკო სექტორში, კავშირგაბმულობის სფეროში, ენერჯეტიკისა და მანქანათმშენებლობის სექტორებში. წინასწარი შეფასებით, მიმდინარე წლის I ნახევარში საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 321.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რომლის უდიდესი ნაწილი BP-ის წილად მოღის. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდში ყაზახეთის, თურქეთის, აშშ-ის, ამერბაიჯანის ინვესტიციები.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საგადასახდლო ბალანსის მხარდასაჭერად საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული სახსრების მიღება და რეფორმების ხელშეწყობი პროგრამების დაფინანსების განხორციელება.


სამთავრობო სექტორის უცხოური ვალდებულებები (სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ვალდებულებების ჩათვლით) საანგარიშო პერიოდში 109.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რაც როგორც ვალის ძირითადი თანხის (53.3 მლნ აშშ დოლარი), ისე მასზე სარგებლის (56.6 მლნ აშშ დოლარი) გადახდას უკავშირდება. თუმცა, ადგილი ჰქონდა ახალი ვალდებულებების აღებასაც. ამ პერიოდის განმავლობაში მთავრობის ახალი ფინანსური ვალდებულებები 40.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოების (საქართველოს ეროვნული ბანკის) უცხოური ვალდებულებები ამავე პერიოდში 25.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რაც მთლიანად საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი დავალიანების დაფარვას უკავშირდებოდა. თუმცა, იმავე პერიოდში ამ

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდან საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები 20.5 მლნ აშშ დოლარით შეივსო.

საანგარიშო პერიოდში **საბანკო სექტორის** საერთაშორისო ვალდებულებები გაცილებით სწრაფად იზრდებოდა (38.0 პროცენტით), ვიდრე ანალოგიური აქტივები (30.9 პროცენტით). შესაბამისად, კომერციული ბანკების უარყოფითი წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა (სხვაობა უცხოურ აქტივებსა და პასივებს შორის) საანგარიშო პერიოდში 86.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 283.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. უცხოური ვალდებულებების ასეთი ზრდა ქართულ ბანკებში არარეზიდენტების დეპოზიტების მოცულობის, არარეზიდენტებისაგან მიღებული სესხებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის შედეგია (შესაბამისად, 6.7, 103.9 და 19.7 მლნ აშშ დოლარით). საბანკო სექტორის საერთაშორისო აქტივების ზრდა საანგარიშო პერიოდში თითქმის მთლიანად ბანკების სალაროში უცხოური ვალუტის ნაშთების ზრდისა (17.1 მლნ აშშ დოლარით) და არარეზიდენტ ბანკებში რეზიდენტი ბანკების დეპოზიტების ზრდის (31.4 მლნ აშშ დოლარით) შედეგია.

ბრაზილი 3.4.1
ნავთობის ფასის დინამიკა



3.4. წარმოების დანახარჯები

ნავთობის ფასი

2006 წლის II კვარტალში მსოფლიო ბაზარზე კვლავ გაიზარდა ნავთობის ფასი და II კვარტალის ბოლოს ერთ ბარელზე 73.93 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა საქართველოში ნავთობისა და ენერგომთავრებლების ფასებზე და, აქედან გამომდინარე – თითქმის ყველა სამომხმარებლო პროდუქციის ფასზე.

2006 წლის II კვარტალში ნელმა ნავთობის ფასის მაგების უმთავრეს მიზეზთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ნედლეულზე საერთაშორისო მასშტაბით მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნა, რომელიც „ოპეკის“ (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანება) პროგნოზით, უახლოეს პერიოდში არ შემცირდება.

ნავთობის ფასზე (ზრდის მიმართულებით) მკვეთრად მოქმედებს ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე საბრძოლო ქმედებები, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის არსებული დაძაბულობა და სხვ., რამაც მთელ მსოფლიოში გააჩინა შიში, რომ ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნები ამ ნედლეულის ექსპორტს ნაწილობრივ ან მთლიანად შეაჩერებენ.

ცხრილი 3.4.1

2006 წლის I ნახევრის ნამრთი ბიუჯეტის შემოსავლების ნომინალური და რეალური ზრდა 2005 წლის I ნახევართან შედარებით

	ნომინალური ზრდა	რეალური ზრდა*
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	24.50%	16.40%
მთლიანი შემოსავლები	25.70%	17.50%
საგადასახადო შემოსავლები	34.10%	25.40%
სამშენობლო	22.50%	14.50%
მოგების	61.80%	51.20%
ღვ	34.50%	25.70%
აქციები	14.30%	6.80%
საბაჟო	61.80%	51.20%
სოციალური	29.70%	21.20%
ქონების გადასახადი	43.80%	34.40%
სათამაშო ბიზნესის გადასახადი	-20.40%	-25.60%
არსაგადასახადო შემოსავალი	76.50%	65.00%
კაპიტალური შემოსავალი	-37.70%	-41.70%
გრანტები	-34.30%	-38.60%

* რეალური ზრდა დაფიქსირებულია 2006 წლის I ნახევრის წლიური ინფლაციით (სფი).

საანალიზო პერიოდში ნავთობის ფასი გაიზარდა. ამ პროცესზე მოცემულ ეტაპზეც მოქმედებს ის ფაქტორი, რომ 2005 წელს აშშ-ში სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების სრული ლაგირითი ამუშავებას ჯერ კიდევ ხელს უშლის.


საგულისხმოა, რომ მიუხედავად საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასის ასეთი მზრდისა, ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით აშშ-ში, ჩინეთსა და ინდოეთში) ეკონომიკური აღმავლობის გამო მიწოდებასთან შედარებით მასზე მოთხოვნა უფრო მაღალი ტემპით იზრდება.

გადასახადები

2006 წლის I ნახევრის ოპერატიული ინფორმაციით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 1 842.7 მლნ ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავლებმა 1 822.6 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში საგადასახადო შემოსავლები 1 390.3 მლნ ლარს გაუტოლდა. საგადასახადო შემოსავლების მზრდაში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 34.1 პროცენტით, ხოლო რეალურმა (ინფლაციის გათვალისწინებით) მზრდა 25.4 პროცენტით შეადგინა. საგადასახადო შემოსავლების მთლიანი გეგმა წარმატებით – 103.5 პროცენტით შესრულდა.

ბრაზილი 3.4.2


ნამრთი ბიუჯეტის საბალანსო შემოსავლები გადასახადის სახეობის მიხედვით 2006 წ., I ნახევარი



2006 წლის I ნახევარში, სათამაშო ბიზნესის გარდა, გაიზარდა ყველა სახის გადასახადით მიღებული შემოსავლები და მზრდის ტემპმა ორნიშნა ციფრს მიაღწია. შედარებით დაბალი იყო აქციებით მიღებული შემოსავლების მზრდის ტემპი, რაც აისახა კიდევ საგადასახადო შემოსავლების კომპოზიციაზე. აქციების სახით მიღებული შემოსავლების მზრდის ტემპი მხოლოდ 14.3 პროცენტს შეადგენს და მისი წილი მთლიან შემოსავლებში 12.5 პროცენტიდან 10.6 პროცენტამდე შემცირდა. ამის მიზეზად, ასევე, თამბაქოს ნაწარმზე აქციების მაღალი განაკვეთის გამო კონტრაბანდის დიდი მასშტაბები უნდა დასახელდეს. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ყველაზე მაღალი იყო აქციების განაკვეთები, რაც აძლიერებდა კონტრაბანდისგების დაინტერესებას. საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2006 წლის აპრილის ბოლოს შეტანილი ცვლილებების შედეგად სააქციო განაკვეთები თამბაქოს მთელ რიგ ნაწარმზე შემცირდა. სავარაუდოა, რომ ეს ღონისძიება კონტრაბანდის შეზღუდვასა და სააქციო შემოსავლების მზრდას გამოიწვევს. აქციებისგან განსხვავებით, მკვეთრად – 9.8 პროცენტიდან 11.8 პროცენტამდე გაიზარდა მოგების გადასახადის წილი, რაც კერძო სექტორში გაზრდილი მოგების ოდენობაზე უნდა მიუთითებდეს.

გრაფიკი 3.4.3

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2005-2006 წწ., I კვარტალი



ცხრილი 3.4.2

თურქეთიდან საქართველოში საქონლის იმპორტის ანხანველი მონაცემები

	2003	2004	2005	2006 I-V თვე
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ლეპარტამენტი (ათასი აშშ დოლარი)	102153	192176	268860	56694
თურქეთის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტი (ათასი აშშ დოლარი)	155068	198738	268427	72625
გადაფარვის კოეფიციენტი	1.5	1	1	0.78

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის (41 პროცენტზე მეტი). საგადასახადო კოდექსში გასული წლის ბოლოს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის სავალდებულო გახდა მხოლოდ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებით აღრიცხონ შესაბამისი მონაცემები ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას. ამ ღონისძიების მიზანია დღგ-ის აღმინისტირების გაუმჯობესება და კონტრაბანდის მასშტაბების შემცირება. მართლაც, 2006 წლის I ნახევარში დღგ-ის სახით მიღებულ იქნა 572.8 მლნ ლარის შემოსავალი, რაც 35 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მონაცემს.

საგადასახადო აღმინისტირების გაუმჯობესება, კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული შემოსავლების მკვეთრი მრღა შესაძლებელია ხელს უწყობდეს ფასების მრღასაც. ვინაიდან დამატებული ღირებულების გადასახადი უშუალოდ საქონლისა და მომსახურების ღირებულებას დაერიცხება, შესაბამისად, იმრღება საქონლისა და მომსახურების ფასებიც. თუმცა, ამჟვე ღრის, საგადასახადო აღმინისტირების გაუმჯობესება, რასაც მეწარმეთა თანაბარ პირობებში ჩაყენება და არაოფიციალური გადასახადების შემცირება მოჰყვება, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების შედეგად ფასებზე კლების მიმართულებით ახლენს გავლენას. გრძელვადიან პერიოდში საგადასახადო აღმინისტირების გაუმჯობესება ფასებსა და ეკონომიკურ მრღამე ღაღებით გავლენას ახლენს, ხოლო მოკლევადიან პერიოდში შეიძლება ფასების ერთჯერად მაგებას იწვევდეს.

ნაერთი ბიუჯეტის მსგავსად, 2006 წლის I ნახევრის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები წარმატებით შესრულდა. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, საკუთარმა შემოსავლებმა გეგმას 41.3 მლნ ღარით გადააჭარბა, ხოლო საგადასახადო შემოსავლებმა 33.4 მლნ ღარით. გეგმურს მნიშვნელოვნად გადააჭარბა ყველა გადასახადით მიღებულმა შემოსავალმა. იგივე შეიძლება ითქვას გერიგორიული ერთეულების ბიუჯეტებზე. საშემოსავლო, მოგების, ქონებისა და სათამაშო ბიზნესის გადასახადის ნაწილი გადაჭარბებით შესრულდა.

გადასახადების აღმინისტირების გაუმჯობესებას კარგად ასახავს საბაჟო და საგადასახადო ღეპარტამენტების შემოსავლები. წლის I ნახევარში საგადასახადო ღეპარტამენტმა გეგმა 104 პროცენტით, ხოლო საბაჟო ღეპარტამენტმა 103.5 პროცენტით შეასრულა. ამასთან, გასულ წელთან შეღარებით, მკვეთრად გაიზარდა შემოსავლები. 2006 წლის I კვარტალში საგადასახადო ღეპარტამენტის შემოსავლები წინა წლის იმავე მაჩვენებელს 27 პროცენტით აღემატება, ხოლო საბაჟო ღეპარტამენტის შემოსავლები 45 პროცენტით არის

გაზრდილი. საბაჟო ლეპარგამენგის მიერ გადასახადების ამოღების მკვეთრი ზრდა ასახავს იმპორტის დაბეგვრის აღმინისტირების გაუმჯობესებას, რასაც აღსკურებს საქართველოში თურქეთიდან იმპორტის მონაცემების სარკისებური ანალიზი.

თუმცა, ამ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის I ნახევართან შედარებით საბაჟოზე მკვეთრად გაიზარდა დღგ-ისა და საბაჟო გადასახადის სახით ამოღებული გადასახადების მოცულობა, შესაბამისად, 55-ითა და 62 პროცენტით, მაშინ, როცა აქციზის სახით ამოღებული გადასახადები მხოლოდ 11.5 პროცენტით არის გაზრდილი, რაც აქციზური საქონლის კონტრაბანდის მასშტაბებზე მიუთითებს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავალმა გეგმით გათვალისწინებული 107.4 მლნ ლარი შეადგინა. არასაგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 255.3 მლნ ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 247.4 მლნ ლარისა. არასაგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსაკრებლები კავშირგაბმულობისა და საფოსტო საქმიანობის სფეროში ლიცენზირებიდან და შემოსავალი საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებიდან.

2006 წლის I ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 21.8 მლნ ლარი შეადგინა. აგრეთვე 2006 წელს დაფარულ იქნა მიმოქცევაში დარჩენილი სახაზინო ვალდებულებები. წლის დასაწყისთან შედარებით გაიზარდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ნაშთებიც 21.4 მლნ. ლარით. დეფიციტის დაფინანსების წყაროს კი საგარეო გრძელვადიანი კრედიტები წარმოადგენდა.

შრომის პროდუქტიულობა, ხელფასი

2006 წლის I კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულება 27.6 პროცენტით გაიზარდა. დამატებული ღირებულების ღირებულება და დინამიკა ერთ დასაქმებულზე ძალიან განსხვავდება დარგების მიხედვით – ყველაზე მცირე მოცულობით (ერთ დასაქმებულზე) სოფლის მეურნეობისა და განათლების სექტორებში იქმნება, რაც ამ სექტორების ყველაზე ნაკლები კაპიტალშეიარაღებით აიხსნება, ყველაზე მეტი კი – მშენებლობის, სასტუმროებისა და რესტორნების, გრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში.

2006 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური დამატებული

ცხრილი 3.4.3

2006 წლის I კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულებისა და საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტენდენციის შეფასების აპრიორული შეფასებით

	დამატებული ღირებულების რეალური ზრდა (პროცენტით)	ხელფასის ნომინალური ზრდა (პროცენტით)
სოფლის მეურნეობა	-2,9%	6%
მრეწველობა	17,8%	19,4%
მშენებლობა	37,2%	31,8%
ვაჭრობა	84,5%	20,1%
სასტუმროები და რესტორნები	-4,5%	8,9%
გრანსპორტი და კავშირგაბმულობა	9,3%	8,3%
საფინანსო შუამავლობა	28,7%	61,5%
ოპერაციები უძრავი ქონებით	219,4%	27%
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	20,5%	71,8%
განათლება	-2%	42,9%
ჯანდაცვა	-18,7%	24,6%
მომსახურების სხვა სახეები	-3,2%	1,8%
სულ	27,6%	29,4%

ღირებულება ყველაზე მეტად მშენებლობის, ვაჭრობის, საფინანსო შუამავლობისა და უძრავი ქონების ოპერაციების სფეროებში გაიზარდა. სამაგიეროდ, შემცირდა სოფლის მეურნეობის, სასტუმროებისა და რესტორნების, ჯანდაცვის, განათლებისა და მომსახურების სხვა სახეების სფეროებში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება.

2006 წლის I კვარტალში როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში ხელფასის მკვეთრი ზრდა აღინიშნა. 2006 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასის ოდენობამ (გადასახადების შემდეგ) 171.6 ლარი შეადგინა. ლარით მიღებული საშუალო თვიური ხელფასის ნომინალური ზრდის მაჩვენებელმა, წინა წელთან შედარებით, 29.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო რეალურმა ზრდამ – 23.2 პროცენტი. ხელფასის ღირსის ნომინალური ზრდა 1.8 პროცენტით აღემატება შრომის პროდუქტიულობის რეალურ ზრდას, თუმცა, ისეთი არასაბაზრო სფეროების გამოკლებით, როგორებიც არის სახელმწიფო მართვა და თავდაცვა, სადაც ნომინალური ხელფასის მატება ყველაზე მაღალი – 72 პროცენტი იყო, სხვაობა ნომინალური ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის ქრება და ამ უკანასკნელის ზრდის გემში აღემატება კიდევ ხელფასის ზრდას, რაც ინფლაციის რისკს ამცირებს და პირიქით – ფასების შემცირებაზე გემოქმედებს. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სექტორში ხელფასების წლიური ზრდის გემში – 57 პროცენტი, საკმაოდ მაღალია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კერძო სექტორში ხელფასების ასევე სწრაფ ზრდას, თუმცა, ამ პროცესს ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე აფერხებს.

ცხრილი 3.4.4
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა და უმუშევრობა (ათასი კაცი)

	სულ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა	ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი (პროცენტი)		უმუშევრობის დონე (პროცენტი)
			სულ	სულ	
2002	3240	2104	65	265	12.6
2003	3105	2051	66.1	236	11.5
2004	3151	2041	64.8	258	12.6
2005	3162	2024	64	279	13.8
I კვ	3178	1999	62.9	294	14.7
II კვ	3149	2036	64.6	272	13.4
III კვ	3132	2012	64.2	270	13.3
IV კვ	3191	2049	64.2	284	13.8
2006					
I კვ	3170	1925	60.7	282	14.6
II კვ	3139	1952	62.2	252	12.9

უმუშევრობა

2006 წლის II კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი 62,2 პროცენტამდე შემცირდა, მაშინ, როცა გასული წლის შესაბამის პერიოდში 64.6 პროცენტს შეადგენდა. შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობაც, კერძოდ, წინა წლის II კვარტალთან შედარებით, 37.6 ათასი კაცით შემცირდა დაქირავებულთა რაოდენობა, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა – 27.6 ათასი კაცით. დასაქმების სფეროში კვლავ ჭარბობს თვითდასაქმებულთა რიცხვი (დაახლოებით 66.5 პროცენტი), რაც, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მოქალაქეებს სამუშაოს აქტიურად ძებნას აიძულებს.

ბრაზიკი 3.5.1

მშპ-ის რეალური წლიური ზრდის ტემპი



ცხრილი 3.5.1

მშპ-ის რეალური წლიური ზრდის ტემპი (პროცენტით) და ზეგავლენა ზრდაზე (პროცენტული პუნქტი) ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით

	2005		2006 I	
	ზრდა	ზეგავლენა	ზრდა	ზეგავლენა
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და საცხოვრო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	12	2	-8.3	-1.2
სამთილი მრეწველობა	-13.5	-0.1	1.6	0
გადამამუშავებელი მრეწველობა	14.3	1.2	2.5	0.2
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	5	0.2	-8.7	-0.2
პროდუქციის გადამამუშავება	12.5	0.5	2.5	0.1
მანამუშავებლების მიერ მშენებლობა	22.3	1.8	25.9	2.3
ვაჭრობა; აგრომომხმარებლის, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი საარგებლობის საგნების რემონტი	3.4	0.4	13.8	1.6
სასტუმროები და რესტორნები	16.4	0.4	8.5	0.2
ტრანსპორტი, დამხმარე და ღამაგებითი სატრანსპორტო საქმიანობა	5.7	0.5	37.7	3.2
კომუნიკაციების მომსახურება	29.5	1.1	19.5	0.8
საფინანსო მომსახურება	52.2	0.7	56.7	1.1
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	7.6	0.2	11.4	0.3
საკუთარი საქმიანობის გამოყენების პირობითი რენტა	-0.3	0	-1.6	0
სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა	-6.1	-0.4	-6.2	-0.4
განათლება	13.5	0.5	9.6	0.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	3.7	0.1	3.3	0.1
სხვა კომუნალური, სოციალური და პენსიონალური მომსახურება	4	0.1	17.2	0.5
მანამუშავებლებში დაქირავებული მომსახურება	24.9	0	29.4	0
საქმიან აქტივობაში ფინანსური მომსახურების მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შედეგები	57.6	-0.4	2.8	0
მშპ საბაზისო ფასებით	10.1	9.3	9.9	9
(+) გადასახადები პროდუქციამზე	1	0.1	-6.8	-0.8
(-) სუბსიდები	0.5	0	-12	0.1
მშპ საბაზისო ფასებით	9.3	9.3	8.4	8.4

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს¹, 2006 წლის II კვარტალში იგი 12.9 პროცენტამდე შემცირდა (2005 წლის II კვარტალში უმუშევრობა 13.4 პროცენტს შეადგენდა). მართალია, უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ მისი ჯერ კიდევ მაღალი დონიდან გამომდინარე, საქართველოში ინფლაციის მრდის ანგარიშგასაწვე წყაროს არ წარმოადგენს.

3.5. გამოშვება და მოთხოვნა

2006 წლის I კვარტალი, ეგზოგენური ფაქტორების მნიშვნელოვანი ნეგატიური გემოქმედების მიუხედავად, მშპ-ის კვლავ საკმაოდ მაღალი წლიური მრდის ტემპით აღინიშნა. არსებული ინფორმაციით, ეკონომიკის მრდ, როგორც შიდა, ასევე საგარეო მოთხოვნით² იყო განპირობებული.

გამოშვება

2006 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მშპ-ის რეალური წლიური მრდის ტემპი 8.4 პროცენტს შეადგენდა. ეკონომიკის მრდის ღარგობრივად განხილვა მიუთითებს, რომ მშპ-ის საკმაოდ მაღალი მრდის ტემპი იმდენად არა სექტორის სფეციფიკურ, რამდენადაც ერთობლივი მაგების შედეგს წარმოადგენდა. საკუთრივ, სოფლის მეურნეობის, ელექტროენერჯის წარმოების, საკუთარი საცხოვრებლის გამოყენების პირობითი რენტისა და სახელმწიფო მართვის გარდა, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახეობაში მრდის დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისეთი ეგზოგენური ფაქტორები, როგორებიცაა:

- მაგისტრალური გამსაღების დაბინებისა და ელექტროენერჯის იმპორტის შემზღუდვის გამო ენერჯეტიკის სფეროში შექმნილი ღრობითი პრობლემები, რაც უარყოფითად მოქმედებდა არა მხოლოდ ელექტროენერჯის წარმოებაზე, არამედ, სხვა ღარგებზეც, განსაკუთრებით სამრეწველო წარმოებაზე;
- „ფრინგელის გრიპის“ შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, რის შედეგადაც თითქმის განახევრდა ფრინგელის სულაღობა და კვერცხის წარმოების ოღენობა;


¹ განგარიშებულა შსო-ს მკაცრი კრიტერიუმის საფუძველზე.

² საგარეო ვაჭრობა განხილულა წინამღებარე მძიმილის „საგაღისხელო ბღანის“ ნაწილში.

- სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობები;
- მსხვილი ენერგოპროექტების ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობის შემცირება;
- ბოლო პერიოდში ენერგომატარებლების, როგორც წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორების ფასების აწევა, რაც ეკონომიკის პოტენციალს ამცირებდა.

ბრაზიკი 3.5.2


შინამეურნეობების მოხმარება და მშპ-ის წარმოებისა და დანახარჯების მეთოდებით გაანგარიშებულ მოცულობებს შორის დამოხმობის სტატისტიკური ცვლილება, მიმდინარე ვასეპით



სტატისტიკური ცვლილების დადებითი მხარეები ასახავს მშპ-ის წარმოების მეთოდით გაანგარიშებული ოდენობის შეცდომას.

ბრაზიკი 3.5.3

სახელმწიფო მოხმარება, მიმდინარე ვასეპით



ბევრთა განხილული ფაქტორების მხედველობაში მიღებით ეკონომიკის მზდის დარგობრივი განხილვა საკმაოდ პოზიტიური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია საფინანსო უკუმაველობის 57-პროცენტთან წლიური მზდის ტემპი. ყოველივე ეს დარგის უმსხვილესი სექტორების – წმინდა საპროცენტო შემოსავლის მაგვამ განსაზღვრავს, რაც, მეტწილად, საბანკო სისტემის მიერ კერძო სექტორის დაკრედიტების ფორსირებული ტემპით გაფართოების შედეგი იყო. რაც შეეხება რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს გეგავლენას, ამ ფაქტორის მოქმედება მშპ-ის მზდის ტემპის შენელებაზე 2006 წლის II კვარტალის შემდგომ გახდება თვალსაჩინო.

შინამეურნეობების მოხმარება


2006 წლის I კვარტალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შინამეურნეობების მოხმარება, ნომინალური გამოხატვებით, 2.6 პროცენტით იყო გაზრდილი, რაც სამომხმარებლო ფასების ინდექსით შესწორების შემთხვევაში, თითქმის ამავე ოდენობით რეალური კლების გოლფასია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც წინა პერიოდში, მშპ-ის წარმოებისა და დანახარჯების მეთოდებით გაანგარიშებულ მოცულობებს შორის კვლავ მნიშვნელოვანი სტატისტიკური ცვლილება დაფიქსირდა, რაც, 2005 წლის I კვარტალის საწინააღმდეგოდ, ამჯერად, წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მშპ-ის მოცულობის შეცდომით გამოიხატა. გამოდინარე იქიდან, რომ საქართველოში წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მშპ ოფიციალურ მარშრუტულად მიიჩნევა და, შესაბამისად, უფრო სარწმუნოა, შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები რეალურად გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, რაზეც გაზრდილი იმპორტის მარჩვენებლებიც მიუთითებდა.

სახელმწიფო მოხმარება

2006 წლის I კვარტალში სახელმწიფო მოხმარების ამსახველი მარჩვენებელი, წინა წლის იმავე პერიოდთან

ბრაზივი 3.5.4


ინვესტიციები ძირითად კაპიტალში სამშენებლო და არასამშენებლო სექტორების მიხედვით (მიმდინარე ვასპით)



სამშენებლო ტიპის ინვესტიციები წარმოდგენდა საბაზისო ფასებით, ხოლო მთლიანი ინვესტიციები საბაზრო ფასებით. ამდენად, მშენებლობის ფორმალურ სექტორში დარჩილი დღეს განხორციელების გამო, რეალურად, მთლიანი ინვესტიციებში სამშენებლო ტიპის ინვესტიციების წილი, გრაფიკზე წარმოდგენილიან შედარებით, შესაბამისად მეტია.

ბრაზივი 3.5.5

სამშენებლო და არასამშენებლო ტიპის სამუშაოების მიხედვით ძირითადი საშუალებების მილიანი ფორმირებისა და სტატისტიკური ცლომილების უზარალოდ წარმოების მიხედვით გაანგარიშებულ მშპ-თან



სტატისტიკური ცლომილების დადებითი მაჩვენებელი ასახავს მშპ-ის წარმოების მეთოდით გაანგარიშებულ მაჩვენებლის დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებულ მაჩვენებელზე მეტობას. ამასთან, სამშენებლო სექტორის ფორმალურ ნაწილზე დარჩილი დღეს შესაბამისად წინა გრაფიკზე განმარტებული საკითხი ამ შემთხვევაშიც ძალშია.

შედარებით, მკვეთრად – 68 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანად საბიუჯეტო ხარჯების წლიური მრდის ტემპი უფრო შედარებით დაბალი – 23 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მოხმარების ამგვარ მრდში, მის მაგებასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი დაბალმა საბაზისო მაჩვენებელზე შეასრულა. სახელმწიფო სექტორის ბეგავლენა შიდა მოთხოვნის ფორმირებაზე კვლავაც უმნიშვნელოვანესი იყო¹.

ინვესტიციები

2006 წლის I კვარტალში, შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების მსგავსად, ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ასევე მოკრძალებული იყო. უფრო მეტიც, 2005 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი ნომინალური გამოხატულებითაც კი და ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვის გარეშე შემცირდა. მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსხვილი ენერგოპროექტების ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები შემცირდა, თუმცა, სახელმწიფო სექტორის მიერ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გაწეული ხარჯებისა და ბინათმშენებლობის გაფართოების შედეგად, სამშენებლო ტიპის ინვესტიციებმა მაინც მკვეთრად იმატა. ინვესტიციების შემცირება არასამშენებლო ნაწილზე მოდიოდა, თუმცა, ბოლო სამ კვარტალში, ამ უკანასკნელის მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელი მრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

საინვესტიციო მოთხოვნის დინამიკის განხილვისას, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული სტატისტიკური ცლომილების პრობლემა ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივია, მხედველობაშია მისაღები. სავარაუდოა, რომ ინვესტიციების მოცულობა რეალურად უფრო მეტი იყო.

¹ „ინფლაციის მიმოხილვა“. - I კვარტალი. - 2006. - საქართველოს ეროვნული ბანკი. - გვ. 31-32.


მთლიანი შიდა პროდუქტისა და ფულის მასის დაგეგმილი, შესაბამისად 8.5 და 33 პროცენტით ზრდისას, ლარის აშშ დოლართან გაცვლის კურსის უცვლელობის პირობებში, ნავთობის ფასების მაგებით განპირობებული საბაზრო მოლოდინით, შარშანდელზე უარესი მოსავლიანობის, იმპორტირებული ინფლაციის მცირე ზრდისა და სხვა დანარჩენი შესაძლო ეგზოგენური ფაქტორების გარეშე, მოსალოდნელ ინფლაციას მონეტარული პოლიტიკის უცვლელობის პირობებში შემდეგი სახე ექნება¹ (იხ.: გრაფიკი 4.1).

მიღებული პროგნოზის თანახმად, მიმდინარე წლის დეკემბერში წლიური ინფლაცია, 10 პროცენტის ალბათობით, 8.3 პროცენტიდან 8.98 პროცენტამდე შეიცვლება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოდელში ყველა შესაძლო არსებული რისკის გათვალისწინება შეუძლებელია. ამის გამო, საყურადღებოა იმგვარი რისკები, როგორებიც არის ცუდი კლიმატური პირობები, „ფრინველის გრიპის“ გამო ფასების შესაძლო ზრდა, წლის II ნახევარში დაგეგმილი ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის შედეგად გაზრდილი შიდა მოთხოვნა და სხვ. ასევე გასათვალისწინებელია ფაქტორები, რომლებიც ფასებზე შემცირების მიმართულებით ახდენს გავლენას.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე და არსებული მაღალი ინფლაციის პირობებში, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაამკაცრებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

გრაფიკი 4.1
ინფლაციის პროგნოზი
2005-2006 წწ.



¹ ინფლაციის საპროგნოზო მოდელის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: ა. მესგერიშვილი, თ. მღვიზიშვილი, - ინფლაციის მოდელირება და პროგნოზირება საქართველოსათვის/ბანკი, - N3(20), - 2004.

კომერციული ბანკების მენეჯერების გამოკითხვის შედეგები


საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მოლოდინი სხვადასხვა ეკონომიკური პროცესების მიმართ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის მაისიდან დაიწყო საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მენეჯერების, როგორც საქართველოს ფულადი და საფინანსო ბაზრების მნიშვნელოვანი მონაწილეების, ყოველთვიური გამოკითხვა. ჩვენთვის საინტერესო საკითხთა ჩამონათვალი მოიცავს მათ მოლოდინს ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ლარის გაცვლის კურსის ცვლილების, ინფლაციური პროცესებისა და ა. შ. საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, გრძელვადიან პერსპექტივაში (1 წლის შემდეგ) კომერციული ბანკების მენეჯერები ვარაუდობენ ეკონომიკის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას. მენეჯერების 64.9 პროცენტი ფიქრობს, რომ ეკონომიკის მდგომარეობა გაუმჯობესდება, 17.7 პროცენტი მიიჩნევს, რომ მდგომარეობა არ შეიცვლება, ხოლო 17.4 პროცენტს პასუხის გაცემა გაუჭირდა.

კომერციული ბანკების მენეჯერების 64.6 პროცენტი თვლის, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში (3 თვის შემდეგ) ეკონომიკის მდგომარეობა უცვლელი დარჩება. მხოლოდ 17.4 პროცენტი ვარაუდობს გაუმჯობესებას, 14.9 პროცენტს კი პასუხის გაცემა გაუჭირდა. საგულისხმოა, რომ არც მოკლევადიან და არც გრძელვადიან პერსპექტივაში კომერციული ბანკების მენეჯერები ეკონომიკის საერთო მდგომარეობის გაუარესებას არ ვარაუდობენ (იხ.: გრაფიკი 1).

გრაფიკი 1

საქართველოში ეკონომიკის მდგომარეობა




კომერციული ბანკების ხელმძღვანელები მომავალი ერთი წლის განმავლობაში ეკონომიკურ ზრდას ელიან

მშენებლობის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სფეროებში. აღნიშნული სექტორების ზრდას ვარაუდობს გამოკითხულთა, შესაბამისად, 88.2; 74.0; 73.3 და 71.5 პროცენტი. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სფეროს, კომერციული ბანკების მენეჯერთა მხოლოდ 34.7 პროცენტი ფიქრობს, რომ მოსალოდნელია ზრდა. საგულისხმოა, რომ რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სფეროში ელიან ზრდას: მხოლოდ 23.3 პროცენტი მიიჩნევს, რომ მრეწველობის სექტორში დაფიქსირდება ზრდა. კომერციული ბანკების მენეჯერთა უმეტესობა (შესაბამისად, 56.3 და 47.6 პროცენტი) ვარაუდობს, რომ ცვლილებები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში მოსალოდნელი არ არის (იხ.: გრაფიკი 2).

გრაფიკი 2

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მომავალი ერთი წლის განმავლობაში




გამოკითხვა აგრეთვე მოიცავს აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლის კურსის მომავალი ცვლილებების შეფასებას. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მოკლევადიან პერსპექტივაში კომერციული ბანკების ხელმძღვანელების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ლარის გაცვლის კურსი ან უფრო გამყარდება, ან შედარებით სტაბილური იქნება (43.8 და 38.5 პროცენტი, შესაბამისად). ლარის გაუფასურებას ვარაუდობს მხოლოდ 5.6 პროცენტი, ხოლო 14.9 პროცენტს პროგნოზის გაკეთება გაუჭირდა.

საშუალოვადიან პერსპექტივაში (6 თვის შემდეგ) გამოკითხულთა უმეტესობა (50.7 პროცენტი) მიიჩნევს, რომ ლარის კურსი მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. მოკლევადიანთან შედარებით საშუალოვადიან პერსპექტივაში ლარის კურსის კიდევ უფრო გამყარებას ნაკლებად ვარაუდობს მხოლოდ 8.7 პროცენტი. პირიქით, გამოკითხულთა დაახლოებით 20 პროცენტი მიიჩნევს, რომ ლარი აშშ დოლარის მიმართ

გაუფასურდება. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა რიცხვი, რომელიც საშუალოვადიან პერსპექტივაში ლარის გაუფასურებას ელის, მაისიდან ივნისამდე პერიოდის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა. თუ მაისში გაუფასურებას მხოლოდ 6.3 პროცენტი ვარაუდობდა, ივნისში ეს მაჩვენებელი 33.3 პროცენტამდე გაიზარდა.

კომერციული ბანკების მენეჯერთა უმეტესობა (38.2 პროცენტი) თვლის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ლარის კურსი სტაბილური იქნება. კურსის ცვლილების მიმართ მათი მოლოდინი შედარებით ბუნდოვანია ერთი წლის შემდეგ: გამოკითხულთა 35.4 პროცენტს გაუჭირდა პროგნოზის გაკეთება. მოკლევადიანთან შედარებით ნაკლებია იმ მენეჯერთა ხვედრითი წილი, ვინც კურსის გამყარებას ვარაუდობს – 17.4 პროცენტი, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ლარის გაუფასურებას მხოლოდ 9 პროცენტი ელის. (იხ.: გრაფიკი 3).


ბრაზიკი 3
როგორ შეიცვლება ლარის კურსი



რაც შეეხება კომერციული ბანკების მენეჯერთა ინფლაციურ მოლოდინს, ერთი წლის შემდეგ ისინი დაახლოებით 8.28-პროცენტთან წლიურ ინფლაციას

ელიან. ორი წლის შემდეგ ინფლაციური მოლოდინი კიდევ უფრო დიდია – დაახლოებით 9.75 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ მაისიდან ივნისამდე გაიზარდა ერთი წლის შემდეგ ინფლაციური მოლოდინი: თუ მაისში ბანკების მენეჯერები 7.42-პროცენტთან წლიურ ინფლაციას ვარაუდობდნენ, ივნისში აღნიშნული მაჩვენებელი 8.82 პროცენტამდე გაიზარდა. ორი წლის შემდეგ ინფლაციური მოლოდინი თვითონ თვემდე შედარებით სტაბილურობით ხასიათდება, მაგრამ ამავე დროს უფრო მაღალი დისპერსია აქვს, ვიდრე ერთი წლის შემდეგ ინფლაციურ მოლოდინს (იხ.: გრაფიკი 4).

ბრაზიკი 4
ინფლაციური მოლოდინი



ამდენად, როგორც გამოკითხვამ აჩვენა, კომერციული ბანკები ქვეყანაში ეკონომიკურ მრავალ გრძელვადიან პერსპექტივაში, ძირითადად ისეთ სექტორებში ვარაუდობენ, როგორებიც არის მშენებლობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა და ტრანსპორტი. ლარის გაცვლის კურსი, ბანკების მენეჯერების პროგნოზით, შედარებით სტაბილური იქნება, თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში მათი უმეტესობა გამყარებას ელის. ერთი წლის შემდეგ ინფლაციური მოლოდინი მრავალ გემპით ხასიათდება. უფრო მაღალ ინფლაციას კომერციული ბანკები ორი წლის შემდეგ წინასწარმეტყველებენ.

